

„დამტკიცებ“

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი
კონსტანტინე დოლიძე



1 ნოემბერი 2024 წ



**ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“
საგანგებო მართვის გეგმა**

შემუშავებულია ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ საგანგებო შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებულია: ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის კონსტანტინე დოლიძის მიერ 2024 წლის 1 ნოემბრის N 01-4/167 ბრძანებით (იხ.დანართი 1), საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად.

თელავი
2024 წელი

საგანგებო მართვის გეგმა I თავი

1. შესავალი

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ საგანგებო მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ საქმიანობის საფუძველს. იგი ამავდროულად, არის „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტი და უზრუნველყოფს კოლეჯის დონეზე, შესაძლო, საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ორგანიზებას.

გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, თანამშრომლების, მსტუდენტების, სასწავლო პრაქტიკის, აუდიტორული მასალების და სხვა მატერიალურ ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას.

1.1 სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ მოქმედებს დანართი N2 -ში წარმოდგენილი, ნორმატიული აქტების შესაბამისად. ამავე დროს, იგი უფლებას იტოვებს, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

1.2 გეგმის მიზანი

გეგმის მიზანია:

- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ თანამშრომელთა და სტუდენტთა, ასევე კოლეჯში მყოფი სხვა პირების დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა.
- კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება.
- საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, კოლეჯის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა.
- მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე ორგანიზაციის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა.
- შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის კოლეჯის დონეზე რესურსების განსაზღვრა.

1.3 კოლეჯის განთავსების ტერიტორიის, შენობის აღწერა და ზოგადი მონაცემები

1.3.1 საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია: ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორი. მის: ქ.თელავი ქართული უნივერსიტეტის ქ.N1^ა, საიდენტიფიკაციო კოდი 231287005: საკადასტრო კოდი 53.20.42.026: ნაკვეთის საერთო ფართი: 13244.00 კვ.მ.; შენობის საერთო ფართი: 3415კვ.მ.

1.3.2 თანამშრომლების და მომსახურე პერსონალის რაოდენობა:

- ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი - 37
- პროფესიული განათლების მასწავლებელი - 53
- პროფესიული სტუდენტი - 340

1.3.3. შენობების ტიპი და მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა.

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ შენობის მშენებლობა დასრულდა 1973 წელს. ფუნქციონალური თვალსაზრისით შენობა აშენებულია სასწავლო დაწესებულებისათვის. შენობა აკმაყოფილებს სასწავლო შენობების მიმართ (სკოლები, ინსტიტუტები, კოლეჯები), წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, ეს ეხება არქიტექტურულ დაგეგმარებას, სამშენებლო მასალების მახასიათებლებს და კონსტრუქციულ გადაწყვეტებს, რომლებიც სეისმომდებების, სიმტკიცისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფადაა აუცილებელი. შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2019 -2020 წელს.

შენობის ტიპი: შენობა შედგება ერთი ოთხსართულიანი სასწავლო კორპუსი და ერთი ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობა. სასწავლო კორპუსი რუსული „II“- სეზრი ფორმისაა, მაქსიმალური ზომებია 64.50 X 23.50 მ, რომელიც დაყოფილია სამ ნაკვეთურად ზომებით: 43.80 X 10.60 მ. (ორი ნაკვეთური), სასწავლო კურპუსი ოთხსართულიანი, სარდაფით და ტექნიკური სართულით სახურავის დონეზე, სიმაღლეები სამივე ნაკვეთურში იდენტურია. სარდაფის სართულის სიმაღლე h=2.00 მ. პირველდან მეოთხე სართულის ჩათვლით სიმაღლეები შეადგენს h=2.80 მ., ტექნიკური სართულის სიმაღლე h=1.1 მ., სახურავის სიმაღლე შეადგენს h=1.90 მ (იატაკიდან კეხამდე). ნაკვეთურების ვერტიკალურ მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს წითელი და სილიკატური აგურის წყობა, სისქით 0.4 მ., ადგილებში ლოკალურად გამოყენებულია რკ/ბეტონის წრიული კვეთის სვეტები და რიგელები, სამირკვლები ლენტური ტიპისაა, შერულებული მონოლითური ბეტონით. სართულშუა გადახურვა შესრულებულია ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილებით, სართულებს შორის საკომუნიკაციო კავშირი უზრუნველყოფილია ლითონის კოსოვურებზე მოწყობილი ბეტონის ანაკრები საფეხურებით. სახურავი ქანობიანია, მზიდი კონსტრუქცია შესრულებულია ხის ელემენტებით (ნივნივები, დგარები, ირიბანები), დაფარული თუნუქის პროფილირებული ბურულით. სასწავლო კორპუსს აქვს 5 საევაკუაციო გასასვლელი, რომელიც მიემართება გარეთ და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სასწავლო კორპუსის უკანა ფასადის მხარეს განთავსებულია სააქტო (სპორტული დარბაზი). სააქტო დარბაზი გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა, ერთსართულიანია, სიმაღლე h=5.45 მ. (იატაკიდან ჭერამდე), ნაკვეთურების ვერტიკალურ მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს წითელი

საგანგებო მართვის გეგმა

და სილიკატური აგურის წყობა, სისქით 0.4 მ., საძირკვლები ლენტური ტიპისაა, შერულებული მონოლითური ბეტონით, სახურავი ქანობიანია, დაფარული თუნუქის პროფილირებული ბურულთით.

კოლეჯის ტერიტორიაზე განცალკევებულ ნაგებობაში განთავსებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებს. კოლეჯის შენობებში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია. შენობების საევაკუაციო გზებზე დამონტაჟებულია ავარიული განათება. შენობაში დამონტაჟებულია ხანძრის დროს საევაკუაციო გასასვლელების მანათობელი მაჩვენებლები. შენობის შიგნით ტერიტორიაზე დამონტაჟებულია საჭირო რაოდენობის სახანძრო სტენდები დაკომპლექტებული ცეცხლმაქრებით და საჭირო ინვენტარით. კოლეჯში არ ინახება ფეთქებადი და ადვილად აალებადი ნივთიერებები. კოლეჯის საწავლო კორპუსის ყველა სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები. შენობა უზრუნველყოფილია წყლითა და ელექტროენერგიით. კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეო-სათვალთვალო კამერებით. დამონტაჟებულია 32 ერთეული ვიდეო - სათვალთვალო კამერა (14-გარე გამოყენების, 18 - შიდა გამოყენების). კოლეჯის წესრიგს და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს დარაჯების სამტატო ერთეული.

კოლეჯის ძირითადი კორპუსი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, გააჩნია პირველადი დახმარების მედდის ოთახი.

კოლეჯს გააჩნია ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემა, ცენტრალიზებული ელექტრო ენერჯის კვების უზრუნველყოფა, ასევე საავარიო ელექტრო მომარაგება;

კოლეჯის კონტიგენტი: კოლეჯი მუშაობს ერთ ცვლაში, საჭიროების შემთხვევაში შეჭრილი გრაფიკით და სასწავლო პროცესი გრძელდება 18:00 საათამდე.

მიმდებარე ტერიტორიის აღწერა: ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ მდებარეობს ქ. თელავის, ქართული უნივერსიტეტის ქ. N1^ა, საჯარო რეესტრის ამონაწერის მონაცემები: მიწის ნაკვეთის დანიშნულება, არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართი: 13244.00 კვ.მ, ნაკვეთის ნომერი: 53.20.42.026; ზონა: 53, სექტორი 20, კვარტალი 42, ნაკვეთი 026; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: იჯარა, შენობის დანიშნულების ტიპი: სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულება;

შენობას აქვს ეზო დაახლოებით 13244 კვ.მ, რომელიც შემოფარგლულია მეტალის ღობით. კოლეჯის ტერიტორიაზე არის შემოსასვლელი ორი გზა. ძირითადი შემოსასვლელი ქართული უნივერსიტეტის ქ. N1^ა მხრიდან, ხოლო მეორე (კოლეჯის დასავლეთის მხრიდან), გზა ითვლება დამატებით სამანქანო გზად. ეზოს ტერიტორიაზე მდებარეობს: ღია სპორტული მოედანი 15X30 კვ.მ. ფართით, რომელიც შემოსაზღვრულია 4 მეტრიანი მეტალის ბადით, სახანძრო უსაფრთხოების წყლის ავზი, ელექტრო ენერჯის გამანაწილებელი კარადა 800კვტ (კოლეჯში შემომავალი დენის სიმძლავრე 766,5 კვტ. ეზოს აქვს საპარკინგე სივრცე და გამწვანების ზოლი.

კოლეჯის კუთვნილ ტერიტორიას ესაზღვრება: აღმოსავლეთის და სამხრეთის მხრიდან ტყის მასივი, ხოლო ჩრდილოეთით და დასავლეთით - საავტომობილო გზა. კოლეჯის ტეროტრიის პერიმეტრი შემოსაზღვრულია 2 მეტრიანი მეტელის ბადით.

1.4 საგანგებო შტაბი და მისი წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

საგანგებო მართვის გეგმა

ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს.

საგანგებო შტაბის უფროსი არის კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ხოლო, დირექტორის მადგილე საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი პირი, რომელიც დანიშნულია კოლეჯის ხელმძღვანლის მიერ და გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევს რეაგირების ძალებსა და საშუალებებს, მუდმივად უკავშირდება შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ოპერატიულ მორიგეს და არსებული სიტუაციის შესახებ ამზადებს წერილობით მოხსენებებს.

საგანგებო შტაბი ახორციელებს:

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შიდაუწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებას;
- რეაგირების ძალებისათვის მითითებების მიწოდებას და მათ კოორდინირებას;
- ზემდგომი უწყების მიერ განსაზღვრული დარგობრივი პოლიტიკის განხორციელებას, შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავებასა და ადრესატებამდე მიწოდებას;
- სამოქმედო ამოცანების დასახვას და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადებას;
- მხარდამჭერი ორგანიზაციების ტექნიკურ ექსპერტებთან თანამშრომლობას;
- მოკვლევისა და მონიტორინგის შედეგების მონაცემთა ბაზის წარმოებას;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის ორგანიზებას.

დანართი № 3

საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

N	საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში თანამდებობა	საგანგებო შტაბის წევრის ფუნქციის აღწერის დანართი
1	საგანგებო შტაბის უფროსი	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	პუნქტი №1
2	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში	დირექტორის მოადგილე	პუნქტი №2
3	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე - კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	ქსელის ადმინისტრატორი	პუნქტი №3
4	საგანგებო შტაბის წევრი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში	მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი	პუნქტი №4
5	საგანგებო შტაბის წევრი სახანძრო-სამაშველო	შესყიდვების მენეჯერი	პუნქტი №5

	ჯგუფის უფროსი		
6	საგანგებო შტაბის წევრი - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი	ხარისხის მართვის მენეჯერი	პუნქტი №6
7	საგანგებო შტაბის წევრი - სამედიცინო რეაგირების ჯგუფის უფროსი	კოლეჯის მედდა	პუნქტი №7

1.5 არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერა.

ადრეული გაფრთხილების სისტემას წარმოადგენს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლების შეტყობინება ელექტრო და ტექნიკური ზარის გამოყენებით. საგანგებო სიტუაციების განვითარებისას ჩართვება განგაშის ზარი (წინასწარ შეთანხმებული ხმოვანი სიგნალის იმიტაციით - 5 წუთის განმავლობაში უწყვეტი ხმოვანი სიგნალი) და ორგანიზება უკეთდება პირველ რიგში გასატარებელი შემდეგი ძირითადი ღონისძიებების განხორციელებას:

- კოლეჯის პერსონალისა და სტუდენტთა ევაკუაცია ხანძრის, შესაძლო დატბორვის, მიწისძვრის, ნგრევის ზონიდან ღვარცოფის და სხვა შემთხვევებში;
 - მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ზონებში;
 - სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება;
- კავშირი ხორციელდება სატელეფონო საშუალებებით. სატელეფონო კავშირის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში კავშირი ხორციელდება სპეციალური რაციებით ან კურიერის მეშვეობით.

1.6 სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. (იხილეთ დანართი N 10)

II თავი

საფრთხეების და რისკების შეფასება და აღწერა.

საფრთხეებისა და რისკების შეფასება განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული “2015-2018 წწ. საფრთხეების შეფასების ეროვნული დოკუმენტის” საფუძველზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-15/ნ „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის შესაბამისად.

2.1. მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა:

ა) ქ. თელავის სეისმური. გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კლიმატურ-ეკოლოგიური ზოგადი დახასიათების საფუძველზე: **ხანძარი, მიწისძვრა, ძლიერი სეტყვა და ქარიშხალი.**

1. **ხანძრით წარმოსაშობი საფრთხე:** ვინაიდან კოლეჯში ყოველდღიური საქმიანობისას ხდება ელექტრო ენერჯის გამოყენება, შესაძლებელია იდგეს ხანძრის წარმოშობის საფრთხე; ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ელექტრო ენერჯის მატარებელი ქსელის სისტემატურ (პერიოდულ) გამართულობის შემოწმებას, მათ შორის, დამიწების კონტურის მდგომარეობას, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების გამართულობას და სხვა;

2. **მიწისძვრით წარმოსაშობი ნგრევის საფრთხე:** ვინაიდან კოლეჯი მდებარეობს თელავში და იგი აქტიურია სეისმურობის მხრივ, რაც არ გამორიცხავს მიწისძვრის წარმოქმნის შესაძლებლობას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შენობის ნგრევა, ხანძრების წარმოქმნა, კომუნალურ ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოყვანა. დარღვეულ იქნეს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემა. შესაბამისად, განსაკურებული ყურადღება ენიჭება არსებული შეტყობინების სისტემების გამართულობას, შენობების კონსტრუქციული კვანძების ვიზუალურ დათვალიერებას, საევაკუაციო გასასვლელების მზადყოფნას და სხვა;
3. **ძლიერი სეტყვა ქარიშხლით შენობის სახურავის კონსტრუქციული რღვევისა და რიგი ფართების დატბორვის საფრთხე;** ბოლოს წლების განმავლობაში არსებული ისტორიული და ზოგადი ანალიზიდან გამომდინარე არსებობს ძლიერი სეტყვისა და ქარიშხლით გამოწვეული საფრთხის ალბათობა. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯის შენობა ახლად რეაბილიტირებულია არსებობს მცირე ალბათობა იმისა, რომ ძლიერმა სეტყვამ ქარიშხლით მოახდინოს შენობების სახურავების კონსტრუქციული დაზიანება. აღნიშნულის პრევენციისთვის მუდმივ რეჟიმში ხდება შენობის სახურავის კონსტრუქციის ვიზუალური და ზოგადი დათვალიერება/შემოწმება; ამასთან, მუდმივად ხდება კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე გასასვლელების სისუფთავის დაცვის მიზნით მათი შემოწმებები, რათა არ მოხდეს ჭარბი ნალექით გამოწვეული წყლის შეგუბება და კოლეჯის რიგი ფართების დატბორვა;

2.1.2 რისკის შეფასების დრო: 24.11.2024 წელი

2.1.3 რისკის შეფასების მეთოდოლოგია: ისტორიული ანალიზის საფუძველზე რისკის თვისებრივი მეთოდით შეფასება;

სტატისტიკურ-ალბათური, რომელიც ეფუძნება ისტორიულ ანალიზის და ზოგადად რისკის ხარისხობრივ შეფასებას. რისკის შემცირების ჯგუფის მიერ 10-10 ქულიანი სისტემებით შეფასებული იქნა კოლეჯის განთავსების ტერიტორიაზე მომხდარი ბუნებრივი მოვლენები და შეფასებისას გათვალისწინებული იყო ამ მოვლენების მოხდენის ალბათობები და ზეგავლენა.

2.1.4 რისკის შეფასების შედეგები:

რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან გამოვლინდა შემდეგი რისკები:

N	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	რისკის მახასიათებელი ქულა
1	მიწისძვრა	5	4	რისკი №1 - 20
2	ხანძარი	5	8	რისკი №2 - 40
3	სეტყვა და ძლიერი ქარიშხალი	5	4	რისკი №3 - 20

რისკი N1 აღწერა: სეისმურობის მხრივ, რაც არ გამორიცხავს მიწისძვრის წარმოქმნის შესაძლებლობას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შენობის ნგრევა,

ქალაქი თელავი აქტიურია სეისმურობის მხრივ, რაც არ გამორიცხავს მიწისძვრის წარმოქმნის შესაძლებლობას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შენობის ნგრევა, ხანძრების წარმოქმნა, კომუნალურ ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოყვანა. დარღვეულ იქნეს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწისძვრები ადრეულ წლებში განსაკუთრებით კი 1998 და 1999 წელს, როდესაც ადგილი ჰქონდა ძლიერ მიწისძვრას. თელავში მიწისძვრა დამახასიათებელია რაც საფრთხეა და შესაძლებელია განმეორდეს. ძლიერ მიწისძვრას გარდა ნგრევისა, შესაძლოა მოჰყვეს ხალხის პანიკა, დაზნეულობა, სირბილისას ჭყლეტა, საგზაო-საავტომობილო ავარიები და სხვა.

რისკი N2 აღწერა: ხანძრის წარმოქმნა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა დაზიანება და მატერიალური ქონების განადგურება;

ხანძარი კოლეჯის ტერიტორიაზე შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა მიზეზით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ადამიანური ასევე ბუნებრივი ფაქტორისგან გამოწვეული. კერძოდ, ადამიანური ფაქტორით ხანძრის წარმოშობა შესაძლებელია პერსონალის დაუდევრობიდან დაწყებული, აქტიური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობიდან დამთავრებული, ხოლო ბუნებრივი ფაქტორებიდან ხანძრის წარმოშობა შეიძლება გამოიწვიოს მიწისძვრამ, ძლიერმა ქარმა და სხვა. კოლეჯის ტერიტორიაზე ხანძრის წარმოშობის ძირითადი წყაროები შეიძლება იყოს კოლეჯის სასწავლო სამზარეულო, სასწავლო საკონდიტრო, გადატვირთული როზეტები და სხვ.

რისკი N3 აღწერა: ძლიერი სეტყვა ქარიშხლით შენობის სახურავის კონსტრუქციული რღვევისა და დატბორვის საფრთხის გამოწვევის ალბათობა;

ქალაქ თელავში ხშირია სეტყვები ძლიერი ქარიშხლით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შენობის სახურავის კონსტრუქციული რღვევისა და დატბორვის საფრთხე, ხანძრების წარმოქმნა, კომუნალურ ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოყვანა. დარღვეულ იქნეს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქარიშხალი 2012 წელს, როდესაც ადგილი ჰქონდა ძლიერ ქარიშხალს, რომელსაც მოჰყვა შენობის სახურავის კონსტრუქციული რღვევა, კომუნალურ ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოყვანა და ხეების დაგლეჯვა. თელავში სეტყვა და ქარიშხალი საფრთხეა და შესაძლებელია განმეორდეს. ძლიერ სეტყვას ქარიშხლით გარდა ნგრევისა, შესაძლოა მოჰყვეს ხალხის პანიკა, დაზნეულობა, სირბილისას ჭყლეტა, საგზაო-საავტომობილო ავარიები და სხვ.

2.2 საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა:

გამოვლენილი რისკების საფუძველზე შემუშავდა კოლეჯში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სავარაუდო განვითარების შემდეგი სცენარები:

სცენარი N1 რისკის მიხედვით: მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ნგრევა, კომუნალურ, ენერგეტიკული

ქსელის მწყობრიდან გამოსვლა კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის სისტემის მოშლა, შიდა კიბის მწყობრიდან გამოსვლა, ფანჯრების ჩამტვრევა, სახურავის ჩამოშლა. ძლიერი მიწისძვრის შემთხვევაში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის დაშავება და ხანძრის კერების განვითარება.

მიწისძვრის თაობაზე შესაძლო ინფორმაციის მიღებისთანავე შტაბის წევრები და ასევე სხვა გადამზადებული პერსონალი ახდენს კოლეჯში არსებული ადამიანების ინფორმირებასა და მოკლე რეკომენდაციების გაცემას, მიწისძვრის შემთხვევაში მათი მოქმედებების თაობაზე. კოლეჯის საგანგებო შტაბის წევრები მოქმედებენ დადგენილი საპრევენციო წესების სრული დაცვით, კერძოდ: მაქსიმალურად ახდენენ ადამიანების განთავსებას მიწისძვრისას შესაძლო უსაფრთხო ფართებში - მზიდი კონსტრუქციის ქვეშ, მაგალითად კარის ჭრილში, შენობებისგან განცალკევებულ თავისუფალ ადგილებში და სხვა; სასწავლო საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი პირების სწრაფ გამოყვანას ადგილზე და მათ შეკრებას უსაფრთხოდ, თავისუფალ ადგილზე; ხდება მყისიერი კომუნიკაცია გარე სამაშველო (112) სამსახურებთან.

სცენარი N2 რისკის მიხედვით: შენობაში ხანძარი შესაძლოა გავრცელდეს, როგორც მხოლოდ შენობის კონკრეტულ ნაწილში, ასევე მთლიანად შენობის მასშტაბით. შესაბამისად, შეიძლება მოხდეს გასასვლელებსა და ცალკეულ ოთახებში კვამლის დაგროვება, რაც გამოიწვევს შენობაში მყოფი პირების ინტოქსიკაციას. მოსალოდნელია ცალკეულმა თანამშრომლებმა მიიღონ სხვასხვა ხარისხის დამწვრობა. მაღალმა ტემპერატურამ შესაძლოა გამოიწვიოს მზიდი კონსტრუქციის დაზიანება, რასაც შეიძლება მოჰყვეს შენობის ცალკეული ელემენტების ნგრევა და გასასვლელების (მათ შორის საევაკუაციო) ჩახერგვა. შესაძლოა დაზიანდეს კოლეჯის სასწავლო სამზარეულოში და სასწავლო საკონდიტროში ელექტროგაყვანილობა და ელექტროდანადგარები, საფრთხე შეუქმნას სხვადასხვა ლაბორატორიებს და დაშავდნენ შენობაში მყოფი პირები.

სახანძრო სიგნალიზაციის ჩართვის შედეგად ხდება კოლეჯში პასუხისმგებელი პირის მიერ საევაკუაციო პროცედურების დაწყება, რომელშიც ოპერატიულად ერთვებიან ადგილზე მყოფი საგანგებო შტაბის წევრები და სხვა დამხმარე პერსონალი. პერსონალი სათანადოდ გადამზადებულია საგანგებო სიტუაციებისას პროცედურების წარმოების მოდულში. კოლეჯი სისტემატურ რეჟიმში ახდენს სწავლების ორგანიზებას შესაბამის საკითხებში.

ევაკუაციის პრცედურა წარმართება კოლეჯში არსებული საევაკუაციო პროცედურების შესახებ: „დამტკიცებული დებულების შესაბამისად შემდეგი პარალელური მოქმედებებით:

- მიმდინაროებს პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტების ორგანიზებული გაყვანა შეკრების ადგილზე;
- ევაკუაციის პროცესში ხანძრის აღმოჩენისთანავე სათანადოდ გადამზადებული პერსონალი იწყებს პარალელურ რეჟიმში ხანძრის ლიკვიდაციას არსებული ხამასაწინააღმდეგო საშუალებების მოხმარებით;
- დაუყოვნებლივ ხდება ინფორმირება საგანგებო სამსახურებთან (112);

ხდება ევაკუირებული ადამიანების შერევა შეკრების ადგილზე ობოქტზე მყოფი ყველა პირის იდენტიფიცირების მიზნით; საგანგებო სამსახურების ადგილზე მოსვლისას ხდება აქტიური კოორდინაცია და დახმარების აღება სახანძრო/სამაშველო ბრიგადების;

სცენარი N3 რისკის მიხედვით: სეტყვისა და ძლიერი ქარიშხლის ინფორმაციის მიღებისთანავე შტაბის წევრების მხრიდან ხდება ინფორმირება კოლეჯში მყოფი პირების. შტაბის წევრების მხრიდან ხდება შენობის პერიმეტრის მონიშვნა და მაფრთხილებელი ნიშნების განლაგება და კონტროლი, რათა ქარიშხლით შესაძლოა შენობის სახურავის კონსტრუქციის ჩამოვარდნით ადამიანების დაზიანება მოხდეს. ასევე ხდება ორგანიზებული გაყვანა არსებული საშიში ტერიტორიიდან, ავტომობილების გაყვანა უსაფრთხო ტერიტორიაზე. პარალელურ რეჟიმში დამატებით მოწმდება სანიაღვრე გასასვლელები და მათი თავისუფლება. შტაბის წევრები აღჭურვილი არიან სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. მაქსიმალურად კონტროლირდება კოლეჯში ასებული პერსონალისა და სტუდენტების გადაადგილების მარშრუტები.

III თავი

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით.

პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება. საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

- ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
- ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);
- გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.

3.1 ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია:

3.1.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N1 რისკის მიხედვით:

მიწისძვრა

- მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
- შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე განისაზღვრა უსაფრთხო ადგილები;
- შენობის კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება - შემოწმება;
- შენობის გარე ფასადზე განთავსებული აბრების და ბანერების მყარად გამაგრება;

საგანგებო მართვის გეგმა

- კედელზე დაფიქსირებული თაროების გამაგრება და კარადების იატაკზე მყარად განთავსება;
- დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი ფიქსაცია;
- მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლო საფრთხის შემცველი გამხმარი ხეების და ხის ტოტების მოჭრა.
- რეგულარულად უნდა ხდებოდეს შენობის საერთო ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგის ორგანიზება;
-

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის N1 რისკის მიხედვით იხილეთ დანართი N4.1.)

3.1.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის მიხედვით:

ხანძარი

აუცილებელია ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მუდმივი კონტროლი და პერსონალისა და სტუდენტების ინსტრუქტირება, ასევე გადამოწმება ყველა ელექტრო და ხანძარწარმომშობი საგნების გამართულობაზე;

- ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/ დახვეწა;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი;
- შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები;
- შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცხელი ხაზის 112-ის ნომერი;
- ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები (ვადების კონტროლით);
- თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით;
- შენობაში მიმდინარეობს უწყვეტი ვიდეო მონიტორინგი;
- ელექტრო-წერტილების, ელექტროკარადების, ელექტრო-სადენების, ელექტრო ტექნიკის პერიოდული მონიტორინგი და გადამოწმება;
- ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა (ცეცხლმაქრების) და სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება;
- რეგულარულად უნდა სუფთავდებოდეს სკოლის ტერიტორია ადვილად წვადი და აალებადი მასალებისგან;
- სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების ნაკრების შექმნა-დაკომპლექტება;
- თვეში ერთხელ ხდება დამწვრობის საწინააღმდეგო სახვევი სამედიცინო მასალის და მედიკამენტების გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში შევსება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის N2 რისკის მიხედვით იხილეთ დანართი N4.2)

3.1.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის მიხედვით:

სეტყვა და ძლიერი ქარიშხალი

სეტყვისა და ქარიშხლის შედეგად მოსალოდნელი რისკებიდან გამომდინარე გართულებების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ლოჯისტიკური პრევენციული ღონისძიებების გატარება;

- ძლიერი წვიმა ქარიშხალის დროს მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება დახვეწა;
- პერიოდულად ხორციელდება სახურავის ტექნიკური შემოწმება-შეკეთება;
- შენობაში თავის შეფარების უსაფრთხო ადგილის წინასწარი შესწავლა-შერჩევა;
- ძლიერი წვიმის დროს შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხო ადგილების განსაზღვრა;
- ეზოს ტერიტორიაზე გამხმარი ხეების ან ტოტების მოჭრა;

- კარ-ფანჯრისა და ჟალუზების მდგრადობის უზრუნველყოფა;
- სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების ნაკრების შექმნა-დაკომპლექტება;
- შენობაზე განთავსებული აბრების ან ბანერების გამაგრება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის N3 რისკის მიხედვით იხილეთ დანართი N4.3)

3.2 ფაზა II: მზადყოფნა

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ საგანგებო შტაბი იხილავს პერსონალის და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების საკითხებს, მოიძიებს და აზუსტებს სათანადო სამოქმედო და დროებითი თავშესაფრისათვის უსაფრთხო ადგილებს, განაახლებს პერსონალის საევაკუაციო გეგმას და შეიმუშავებს ხელმძღვანელების არყოფნის შემთხვევაში მათი სხვა კადრებით ჩანაცვლების პროცედურებს.

მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ ვარჯიშებს.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა. რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს, როგორც მათ ინფორმირებას, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

3.2.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N1 რისკის მიხედვით: მიწისძვრა:

მიწისძვრის დროს მიყენებული ზიანის შესამცირებლად კოლეჯის მიერ პირველ რიგში დაიგეგმება:

- თანამშრომლებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება მიწისძვრასთან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;
- საევაკუაციო იმიტირებული წვრთნა;
- სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება;
- კავშირგაბმულობის საშუალებების ტექნიკური გადამოწმება;
- დროულად მოხდეს შეცვლილი საგანგებო შტაბის წევრის გადამზადება.

(გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა N1 რისკის მიხედვით: დანართი 5.1)

3.2.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N2 რისკის მიხედვით:

კოლეჯის მიერ გასატარებელი ღონისძიებებიდან პირველ რიგში უნდა განისაზღვროს:

- საგანგებო შტაბის წევრებისათვის სათანადო ტრენინგების/ინსტრუქტაჟების (ევაკუაციის პროცედურები, ხანძართან ბრძოლის, პირველადი სამედიცინო დახმარების და სხვ.) ჩატარება;
- სათანადო სწავლებები და ინსტრუქტაჟების უნდა ჩატარდეთ ასევე კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს და თანამშრომლებს;
- დროულად მოხდეს შეცვლილი საგანგებო შტაბის წევრის გადამზადება;
- რეგულარულად შემოწმდეს ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებების (ცეცხლსაქრობის) გამართულობა;

- სახანძრო სფეროში პერსონალისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად ხანძრის ქრობის იმიტირებული კომპლექსური სწავლებების ჩატარება.

(გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა №2 რისკის მიხედვით: დანართი 5.2)

3.2.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N3 რისკის მიხედვით: სეტყვა და ძლიერი ქარშხალი

სეტყვა და ძლიერი ქარშხალის დროს მიყენებული ზიანის შესამცირებლად კოლეჯის მიერ პირველ რიგში დაიგეგმება:

- თანამშრომლებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება სეტყვა და ძლიერი ქარშხალის და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;
- საევაკუაციო იმიტირებული წვრთნა;
- სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება;
- კავშირგაბმულობის საშუალებების ტექნიკური გადამოწმება;
- დროულად მოხდეს შეცვლილი საგანგებო შტაბის წევრის გადამზადება.

(გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა N3 რისკის მიხედვით: დანართი 5.3)

3.3 ფაზა III. რეაგირება:

კოლეჯის შენობებიდან ევაკუაციის გეგმა – წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას (იხილეთ დანართი N 9) კოლეჯის საგანგებო სიტუაციისთვის რეაგირების ჯგუფები (იხილეთ დანართი N 11).

გეგმაში რეაგირების ღონისძიებების აქტივობებში ასახულია ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაცავად მასზე მიმაგრებული უსაფრთხოების მხარდამჭერი პირი, მისი ქმედებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ერთობლივად (მათ შორის შენობიდან ევაკუაციის დროს) და სხვა რეაგირების ზომების დაგეგმვა რაც გამომდინარეობს მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან.

3.3.1 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 სცენარის მიხედვით: მიწისძვრა:

შენობის შიგნით ადამიანები განლაგდებიან უსაფრთხო ადგილებში. მიწისძვრის შემთხვევაში საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში დაუყოვნებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მართვის სამსახურს - 112. შემდეგ აცნობებს საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების და მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით.

ასევე განხორციელდეს:

- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
- პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო ევაკუაცია წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ზონაში, საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით;
- პარალელურად მოხდება ნგრევის ან სხვა დაზიანებით გამოწვეული საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს საევაკუაციო პროცესი;

- სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსვლისთანავე მიაწოდოს სრული ინფორმაცია ადგილზე ვითარების და ადამიანების ევაკუაციის მიმდინარეობის შესახებ, შემდგომში მათთან ერთად კოორდინირებული მოქმედება;
- დაზარალებული ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- განხორციელდება სახიფათო ზონების იზოლირება.

(გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა N1 რისკის მიხედვით: დანართი 6.1)

3.3.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით;

ხანძარი:

ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს შეტყობინების და საფრთხის მაუწყებლობის სისტემების მოქმედებაში მოყვანა. საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში დაუყოვნებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მართვის სამსახურს - 112, შემდეგ აცნობებს საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან ადამიანების და მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით - მოხდება პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო ევაკუაცია საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ზონაში.

ასევე განხორციელდეს:

- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
- ნგრევის ან სხვა დაზიანებით გამოწვეული საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს ევაკუაციის პროცესი;
- სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსვლისთანავე მიაწოდოს სრული ინფორმაცია ადგილზე ვითარების და ადამიანების ევაკუაციის მიმდინარეობის შესახებ, შემდგომში მათთან ერთად კოორდინირებული მოქმედება;
- სათანადოდ გადამზადებული პერსონალის მიერ ხანძრის ლიკვიდაცია არსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მოხმარებით;
- დაზარალებული ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

(გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა №2 რისკის მიხედვით: დანართი 6.2)

3.3.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №3 სცენარის მიხედვით;

სეტყვა და ძლიერი ქარიშხალი:

შენობის შიგნით ადამიანები განლაგდებიან უსაფრთხო ადგილებში. **სეტყვისა და ძლიერი ქარიშხალის** შემთხვევაში საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში დაუყოვნებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მართვის სამსახურს - 112. შემდეგ აცნობებს საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების და მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით.

ასევე განხორციელდეს:

- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
- პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო ევაკუაცია წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ზონაში, საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით;
- პარალელურად მოხდება ნგრევის ან სხვა დაზიანებით გამოწვეული საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს საევაკუაციო პროცესი;

- სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსვლისთანავე მიაწოდოს სრული ინფორმაცია ადგილზე ვითარების და ადამიანების ევაკუაციის მიმდინარეობის შესახებ, შემდგომში მათთან ერთად კოორდინირებული მოქმედება;
- დაზარალებული ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- განხორციელება სახიფათო ზონების იზოლირება.

(გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა N3 რისკის მიხედვით: დანართი 6.3)

3.4 ფაზა IV. აღდგენა:

3.4.1 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 სცენარის მიხედვით

მიწისძვრა:

მიწისძვრის დროს ბიძგების დასრულების შემდეგ, აღდგენით ფაზაში:

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად ან დამოუკიდებლად მოწმდება შენობის ვარგისიანობა;
- დამოუკიდებლად ან მუნიციპალურ სამსახურებთან ერთად ხდება მატერიალური ფასეულობების გამოტანა, დასუფთავება და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
- დამოუკიდებლად ან მუნიციპალურ სამსახურებთან ერთად ხდება მიწისძვრით გამოწვეული ნანგრევების უსაფრთხო გამოტანა;
- დამოუკიდებლად ან შესაბამის სამსახურებთან ერთად აღირიცხება/ფასდება დაზიანებული შენობისა და ასევე სხვა ტიპის ზარალი;
- შესაბამის სამსახურებთან ერთად ხდება დაზიანებული კომუნიკაციების აღსადგენად ელექტროენერჯისა და წყლის მაგისტრალების აღდგენა/შემოწმება;
- უმოკლეს ვადაში ტარდება აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები;
- პროფესიულ სტუდენტთა კოლეჯში დაბრუნებამდე კოლეჯი გადადის დისტანციური სწავლის რეჟიმზე (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით).

(გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა №1 რისკის მიხედვით: დანართი 7.1)

3.4.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით

ხანძარი:

ხანძრის შემდგომ, აღდგენის ფაზაში:

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად ან დამოუკიდებლად მოწმდება შენობის ვარგისიანობა;
- დამოუკიდებლად ან მუნიციპალურ სამსახურებთან ერთად ხდება ხანძრით გამოწვეული ნარჩენების უსაფრთხო გამოტანა;
- დამოუკიდებლად ან შესაბამის სამსახურებთან ერთად აღირიცხება/ფასდება დაზიანებული შენობისა და ასევე სხვა ტიპის ზარალი;
- შესაბამის სამსახურებთან ერთად ხდება დაზიანებული კომუნიკაციების აღსადგენად ელექტროენერჯისა და წყლის მაგისტრალების აღდგენა/შემოწმება;
- უმოკლეს ვადაში ტარდება აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები;
- პროფესიულ სტუდენტთა კოლეჯში დაბრუნებამდე კოლეჯი გადადის დისტანციური სწავლის რეჟიმზე (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით).

(გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა №2 რისკის მიხედვით: დანართი 7.2)

**3.4.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №3 სცენარის მიხედვით
სეტყვა და ძლიერი ქარიშხალი**

მას შემდეგ, რაც სიტუაცია დასტაბილურდება და ადგილზე მუშაობა გახდება უსაფრთხო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და მერიის შესაბამისი სამსახურები იწყებენ აღდგენითი სამუშაოების შესრულებას

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად იწყება დატბორილი სარდაფებიდან წყლის ამოტუმბვა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ადგენს შენობების საცხოვრებლად ვარგისიანობას მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთან ერთად.
- მუნიციპალური ორგანოების მიერ ხორციელდება გადახდილი/დაზიანებული შენობების აგრეთვე მიყენებული ზარალის აღრიცხვა/შეფასება;
- ხორციელდება მატერიალური სიკეთეების გამოტანა დასუფთავება და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება
- მერიის სამსახურების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სტიქიის ადგილზე ხორციელდება გაწმენდითი სამუშაოები, ქვალორღის, ნაშალი მასის, ჩახერგილობების გაწმენდა;
- გაწმენდით სამუშაოებთან ერთად იწყება სამუშაოები დაზიანებული კომუნიკაციების აღსადგენად ელექტროენერჯის, გაზის და წყლის მაგისტრალების აღდგენა/შემოწმება.
- მერიის შესაბამისი სამსახურები შემოკლებულ ვადებში უზრუნველყოფენ გადახდილი შენობების გადახურვითი სამუშაოების დაწყება/წარმოებას;
- პროფესიულ სტუდენტთა კოლეჯში დაბრუნებამდე კოლეჯი გადადის დისტანციური სწავლის რეჟიმზე (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით).

(გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა N3 რისკის მიხედვით: დანართი 7.3)

IV თავი
გეგმის დანართები

დანართის №	დანართის დასახელება
1	ბრძანება საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების და საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ
2	სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი
3	საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები
4 4.1; 4.2; 4.3;	ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში
5 5.1; 5.2; 5.3	ფაზა II. მზადყოფნა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში
6 6.1; 6.2; 6.3;	ფაზა III. რეაგირება – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების, გაძლიერებული მზადყოფნისა და საგანგებო რეჟიმების მიხედვით
7 7.1; 7.2; 7.3;	ფაზა IV. აღდგენა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით საგანგებო რეჟიმში
8	ადგილობრივი საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა
9	შენობებიდან ევაკუაციის გეგმა
10	შენობის შიდა აზომვითი ნახაზი
11	საკადასტრო აზომვითი ნახაზი
12	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
13	სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა
14	რეაგირების ჯგუფის შემადგენლობა



სა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“

დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-41167

თელავი, 2024 წ. „ 1 „ 11

სა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, სა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ წესდების (რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 23 სექტემბერს (გადაწყვეტილება # B24119858/3) მე-4 მუხლის „ა“, „თ“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ საგანგებო მართვის გეგმა თანდართული სახით (დანართი N1)
2. დაევალოს კოლეჯის საქმისმწარმოებელს თამარ აივაზოვს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის გაერთიანებულ რაიონულ სასამართლოში, (მისამართი: ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. #41).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კონსტანტინე დოლიძე

სა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

1. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ (27.06. 2018 წ.);
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №309 დადგენილება სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ
4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის № 51 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე;
5. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №153 დადგენილება „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“;
6. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №154 დადგენილება „უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
7. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
8. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის № 452 დადგენილება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
9. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №453 დადგენილება „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №4 დადგენილება „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ნოემბრის №577 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს მოხალისეთა წესდების დამტკიცების შესახებ“;
12. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 სექტემბრის N590 დადგენილება „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
13. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №48 დადგენილება „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“.
14. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-15/ნ „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“;
15. „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანება.

საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები

№	საგანგებო შტაბის წევრი (გვარი და სახელი) საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქცია	ამოცანები (მოვალეობები)	საკონტაქტო ტელეფონი	შენიშვნა
1.	საგანგებო შტაბის უფროსი კონსტანტინე დოლიძე	<ul style="list-style-type: none"> - საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და რეაგირების, ასევე საგანგებო მართვის გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს; - თანამშრომლებისთვის/პერსონალისათვის და სტუდენტებისთვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება; - მართვის, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზება. - რეაგირების ფორმირებების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება; - რეაგირების ჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საჭირო აღჭურვილობით მომარაგება, მათი ექსპლუატაციისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული გაცემა; - თანამშრომლებისა და პერსონალის დადგენილი წესის მიხედვით ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში; - საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება; - საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციების პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება. 	577177979	
2.	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში - ია სარაჯიშვილი	<ul style="list-style-type: none"> - თანამშრომელთა, მატერიალურ ფასეულობათა, დოკუმენტების, უნიკალური მოწყობილობების, აპარატურის და სხვათა ევაკუაციისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება; - კოლეჯის შენობაში (ცალ-ცალკე ყოველი სართულისათვის) და შენობის გარეთ თანამშრომელთა/პროფესიულ სტუდენტთა ევაკუაციის გეგმის შემუშავება; - ევაკუირებულთა აღრიცხვიანობის ორგანიზება; - ევაკუირებულთა პირველადი მოხმარების ნივთებით მომარაგების ორგანიზება. - ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში, იგი ვალდებულია: - დროულად შეატყობინოს პერსონალს და პროფესიულ სტუდენტებს ევაკუაციის დაწყება; - მოხდეს პერსონალის და პროფესიულ სტუდენტების ევაკუაცია წინასწარ შერჩეული მარშრუტებით; - ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში საევაკუაციო ჯგუფის წევრების გამოცხადებას შემკრებ პუნქტზე და მათი ანგარიშის მოსმენა - დროულად მოხდეს შტაბის უფროსისთვის ევაკუირებული პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტების შესახებ 	591515024	

საგანგებო მართვის გეგმა

		ინფორმაციის მიწოდება;		
3.	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით - ფარნა ალექსიშვილი	<ul style="list-style-type: none"> - ორგანიზებას უკეთებს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას. შესაბამისად, შეტყობინების სქემის მიხედვით საგანგებო შტაბის შეკრებასა და სხდომების ორგანიზებას; - იგი ვალდებულია დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი პირების, რეაგირების ფორმირების და პერსონალის სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. - საჭიროებისას, საგანგებო შტაბის უფროსის გადაწყვეტილებით, ხმის გადამცემი მოწყობილობის გამოყენებით გადასცემს ბრძანებას „დარჩით შენობაში!“.... „დატოვეთ შენობა !“ - ახორციელებს ინფორმაციის შეგროვება და მისი გაცვლის ორგანიზება; საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი მუდმივად განახლება. 	558646494	
4.	საგანგებო შტაბის წევრი მატერიალურ ტექნიკური მომარაგების ჯგუფის უფროსი - დავითი კუკუნაშვილი	<p>ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მიიღოს აქტიური მონაწილეობა საგანგებო მართვის გეგმის შედგენაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების გათვალისწინების თვალსაზრისით; - მონაწილეობა მიიღოს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებაში; - მოამზადოს ანგარიში რეაგირების ფორმირებების აღჭურვის მიზნით; - იცოდეს საჭირო აღჭურვილობისა და ინვენტარის რაოდენობა, მისი შექმნისა და შენახვის პირობები; - სისტემატურად ახსენებდეს საგანგებო შტაბის უფროსს სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ქონების ტექნიკურ მდგომარეობის შესახებ. - საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში უზრუნველყოს ჯგუფის ოპერატიულ შეკრებას; - ორგანიზება გაუკეთოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების დარგში უზრუნველყოფა საგანგებო მართვის გეგმების მიხედვით სამოქალაქო უსაფრთხოების სწავლებებსა და ვარჯიშებს. 	551400424	
5.	საგანგებო შტაბის წევრი - სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი- ვასილი კიკნაძე	<p>ა) მშვიდობიან პირობებში ჯგუფის უფროსი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - იცოდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობა, მათი მომზადების დონე, სამუშაო ადგილი; - ჰქონდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობის სია საჭიროების შემთხვევაში მათი სწრაფი შეკრებისათვის; - შეისწავლოს კოლეჯის შენობა და ელექტროგაყვანილობა სახანძრო დაცვის თვალსაზრისით; - იცოდეს ელექტროენერჯის მოწოდების წყარო, მისი საერთო გამომრთველის ადგილმდებარეობა, ელექტროგაყვანილობის ვარგისიანობა, სუსტი ადგილები; - სისტემატურად ამოწმებდეს ხანძარსაწინააღმდეგო დაფების დაკომპლექტებას საჭირო ინვენტარითა და ცეცხლმაქრობებით. იცოდეს ცეცხლმაქრობის ვარგისიანობა, მათი შევსების დრო; - შეისწავლოს კოლეჯის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა 	577177972	

		<p>შენიშვნა და მისი სუსტი წერტილები მედეგობისა და მექანიკური საიმედოობის თვალსაზრისით;</p> <ul style="list-style-type: none"> - სისტემატურად ახორციელებდეს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს; - უნდა ამოწმებდეს ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობას, ტერიტორიის დასუფთავებას, ცეცხლსაქრობი საშუალებების მარაგის არსებობას და სხვა; - სისტემატურად უნდა ატარებდეს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას პირად შემადგენლობასთან; - იცოდეს ჯგუფის ქონების ადგილსამყოფელი, მიღებისა და გაცემის გრაფიკი; - იცოდეს კოლეჯში პერსონალის რაოდენობა, ავარიის შემთხვევაში მათთვის დახმარების გაწევის მიზნით. <p>ბ) ექსტრემალური ვითარების განვითარებისას ჯგუფის უფროსი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - სწრაფად შეკრიბოს ჯგუფის პირადი შემადგენლობა მოკლედ განუმარტოს შექმნილი ვითარება, დაუსახოს თითოეულს ამოცანები; - სწრაფად იმოქმედოს დაზიანების კერაში დაზარალებულთა გასაყვანად და დახმარების აღმოსაჩენად. აწარმოოს სახანძრო-სამაშველო სამუშაოები და შედეგების ლიკვიდაცია; - სისტემატურად ახსენებდეს საგანგებო შტაბის უფროსს გაწეული საქმიანობის შესახებ; - სასწრაფოდ შეატყობინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფს; - განსაზღვროს ხანძრის კერის წარმოქმნისა და გავრცელების ადგილი, ყველა საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზება; - განსაზღვროს დაზიანების კერის წარმოქმნისა და გავრცელების ადგილი, ყველა საშუალებების გამოყენებით განახორციელოს სამაშველო სამუშაოები; - ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება და მათთან ერთად განაგრძოს ცეცხლის ქრობა. <p>ხანძრის შემთხვევაში გადაჭრას შემდეგი უპირველესი ამოცანები:</p> <ul style="list-style-type: none"> - სახანძრო ვითარების შეფასება; - ხანძარსაშიში ადგილების განსაზღვრა; - ხანძრის ჩასაქრობად საჭირო ძალებისა და ტექნიკის განსაზღვრა; - წყლის მოწოდების საშუალებებისა და რაოდენობის განსაზღვრა; - ევაკუაციის მარშრუტის განსაზღვრა; - ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს ადგილზე ვითარება და მათთან ერთად განაგრძოს სამაშველო სამუშაოები. 		
6.	<p>საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი ნაირა ჭინჭარაშვილი</p>	<p>ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში უზრუნველყოს ჯგუფის ოპერატიულ შეკრებას; - იცავს წესრიგს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში; - უზრუნველყოფს საევაკუაციო ღონისძიებების ორგანიზებას და წესრიგის დაცვას მისი განხორციელების პროცესში; - მონაწილეობს პრევენციული, მზადყოფნის და რეაგირების ღონისძიებების განხორციელებაში საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით. 	577177971	

